# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-469

31/05/2019

ქ. თბილისი

**შპს „გზამშენი-2“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „გზამშენი-16“-ზე გადაცემის შესახებ**

2019 წლის 21 მაისს ერთობლივი განცხადებით მოგვმართეს შპს „გზამშენი-2“-ისა და შპს „გზამშენი-16“-ის დირექტორებმა. შპს „გზამშენი-2“-მა ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „გზამშენი-16“-ზე და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ 2006 წლის 14 თებერვალს შპს „გზამშენი-2“-ის ასფალტის წარმოებაზე გაცემული №39 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად გაიცა №2-431 (21.05.2019) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შპს „გზამშენი-2“-ის ასფალტის წარმოებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „გზამშენი-16“-ს;
2. შპს „გზამშენი-16“-მა უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 21 მაისის №2-431 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გზამშენი-2“-სა და შპს „გზამშენი-16“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გზამშენი-2“-ისა და შპს „გზამშენი-16“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი